GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 353
თარიღი: 28 10 2014 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 6 14 00827492

22/10/2014

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)
დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს
მის: თბილისი, რაზმაძის ქ. 15
ტელ: (+995 32) 222 29 43

ბატონო სერგი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2014 წლის 13 ოქტომბრის N727 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №805897, 16.10.2014) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გაცნობებთ, რომ დღევანდელი მდგომარეობით საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის ყველა ეტაპი წარმატებით გადალახა 583 კანდიდატმა. მათ შორის არიან ისეთი პირები, რომელთაც დირექტორობის დამადასტურებელი სერტიფიკატი მოიპოვეს 2011 წელს. დღეის მდგომარეობით, კვლავ მიმდინარეობს დირექტორთა შესარჩევი კონკურსი; შესაბამისად, ყველა რეგიონის შედეგების შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ არის შექმნილი.

დირექტორობის უფლების მქონე პირების სამეურვეო საბჭოებისათვის წარდგენა გარკვეულ რეგიონებში უკვე განხორციელდა და ეს ეტაპი ამჟამადაც მიმდინარეობს.

ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ სულ რამდენ საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის მოხდა დირექტორობის უფლების მქონე პირთა წარდგენა, რომელ საჯარო სკოლებში მოხდა დირექტორობის კანდიდატების წარდგენა და რამდენი დირექტორობის უფლების მქონე პირი წარედგინა თითოეული საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, საჯაროდ განთავსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (http://mes.gov.ge/content.php?id=193&lang=geo; ასევე http://www.mes.gov.ge/content.php?id=5302&lang=geo).

დირექტორთა შერჩევის პროცესში, რეგიონების შემთხვევაში, ჩართულები არ ყოფილან შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. თქვენი განცხადების ბოლო

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32)2 31 89 40

პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, გთხოვთ დააზუსტოთ, თუ რომელი წლების პრაქტიკის შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ირაკლი კოპალიანი

ი.